სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო. ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
თად მიმართავენ რედაქციის დილის
10—3 საათამდე და საღამოს 6—7
დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიაში
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

## წლის დამლევამდე
## გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება **2** მან. **50** კაპ.

## ნემენცევის ბაღში
ქართული წარმოდგენა
**კვირას 19 სექტემბერს**

ქართული თეატრის აქტიორებისაგან, სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდ-
გენილი იქნება ხელახლად შესწორებული ახალი პიესა:

I

## არკადიას სადილი

სცენები ჩვენი ვაჭრების ცხოვრებიდან.

3 სურათად.
I სურათი.
არკადიას განზრახვა.
II სურათი.
სატიოზე **ჭიდაობა.**
III სურათი.
მუქთა კუბო.

ხალხი, მეზურნეები, მეტივენი, ნოქრები და სხვანი. ამბავი ხდება ჩვენ დროს სატიოზედ, მერე და მესამე სურათში **ჭიდაობა,** ლეკური ბაღდადური და ... , ... ...ცა, სატივა, ტივები და სხვ.

II

## ადვოკატობა

ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი.

III

## დივერტისმენტი

რომელშიაც წაიკითხავენ ლექსებს, იმღერებენ დუეტებს და კინ-
ტოურ ლექსებს წაიკითხავენ.

დასასრული **ლეკური**

ადგილების ფასი 20 კაპიკიდან ვიდრე 1 მანეთამდე 50 კაპ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

გამგე **საფაროვი.**

სტამბა — ტელეფონი 648.

## ორთქლით მომუშავე სტამბა
## ექვთიმე ი. ხელაძისა

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლ. ახალ შენობაში.

(**არსებობს 1873 წლიდამ**).

ტელეფონი 648. — სტამბა

სტამბამ ახლად მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე მბეჭდავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საკრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებული ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი დამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებული დახელოვნებული ოსტატებით კისრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ადგილობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომფასსათ. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—50)

## ექიმი
## გ. ს. გენცენფილდი

ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

ავადმყოფთ ყოველ დღეღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღმოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

დაიბეჭდა და გაისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში.

თხზულებანი
## ა. ს. პუშკინისა
ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით
ფასი 50 კაპ.

საავადმყოფო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ა. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. ძოწავნი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

*** მთავრობა ... ... გენა. ბ-ნო ...

...ადგილი დაუთმოთ ამ უტყუარს სტრიქონებს, თუ კი ქართული თეატრის ბედ-იღბალი გაინტერესებთ თქვენ და თქვენს მკითხველებს.

სამშაბათს, 14 სექტემბერს, ნემენცევის ბაღში წარმოადგინეს ვ. გუნიას ხუთ მოქმედებიანი დრამა „და-ძმა". ეს დრამა ბევრჯელ ყოფილა წარმოდგენილი ჩვენს სცენაზე, ისე ბევრჯელ რომ თითქმის ყველა მაყურებელმა ზეპირადაც იცის იგი. იმათ უნახავთ მშვენიერი თამაში ბ. კ. ყიფიანისა (ოტია) და ვლ. ალექსი მესხიშვილისა (გაიოზი) იმათ უკვდავი გახადეს ხალხის ხსოვნაში ოტიას და გაიოზის ტიპი. ბევრს აუძგერა გული, აუღელვა და დღესაც ახსოვს ის მამულის ერთგული გაიოზი, რომელიც არაფერს არა ზოგავს, არც სახლს, არც პატივს, არც დას, არც თავის თავს, ოღონდ კი თავისი სამშობლო როგორმე გაინთავისუფლოს მტრების ხელისაგან. დღესაც ხალხს არ დავიწყებია ის შესანიშნავი ლომივით გამოვარდნა გაიოზისა (მესხიშვილი მეხუთე მოქმედებაში) და შეძახილი: „ხმალი ოტია, ხმალი! თუ დედაკაცი არა ხარ!" დღესაც ბევრი ქართველი ნატრობს იმის შემდეგ გაიოზობას. როგორც მესხიშვილმა შეაყვარა ხალხს გაიოზი, აგრევე შეაძულა და შეაზიზღა ხალხს კ. ყიფიანმა ოტია ჯოლია. იმან ნათლად დაანახვა ხალხს დიდების მოყვარებით გატაცებული, რომელიც არაფერს არა ზოგავს, არც რჯულს არც სამშობლოს, მხოლოდ თავის საწადელი აისრულოს და სამეგრელოს მთავარი გახდეს, კ. ყიფიანმა დაანახვა ხალხს, და იმნაირი კაცები, როგორც ოტია ჯოლია, შეაძულა, შეაზიზღა და გაუორკეცა მამულისადმი სიყვარული... და აი, ამის შემდეგ სა... გალოებამ კიდევ ერთხელ ნ... მენცების ბაღში ეს დ... ბევრიც იცინა... ღმერ... საზოგადოება, რომ... ნიმე ხნის წინად იმი... დებოდა, დღეს აქ... იცინოდა იმიტომ, ...

ატიტინებ!.. უმართებულო ყვირილი მეტის-მეტი გრეხა და ხელების მტვრევა, ლაპარაკის მაგიერ მღერა. საზოგადოებაში მხოლოდ კისკისს იწვევდა და ზოგისაგა იდევ სიბრალულს! . ებრალებოდათ გაიოზი, ებრალებოდათ ოტია, ებრალებოდათ მარინე და სხვანი, რომელნიც ისეთი ხალხის ხელში ჩავარდნილიყვნენ, როგორნიც იყვნენ იმათი წარმომადგენლები იმ სამწუხარო საღამოს.

დასასრულ ვურჩევ ამ ვაჟბატონ სცენის მოყვარეთ და ეგრედ წოდებულ ნემენცების ბაღის „არტისტებს" ერიდონ დრამებს, და უფრო სასაცილო კომედიები წარმოადგინონ, ასე რომ თითონაც დრო გაატარონ, და საზოგადოებაც გაამხიარულონ ტაკი-მასხარობით. ტანისამოსი ისტორიული კი არა, რაღაც თრინჯული იყო; თათრები, ჩინელების ტანისამოსში იყვნენ და მარინეს პოლონიური ქათიბი თავას კურტკაზე ეკვა. წარმოდგენა გამართული იყო იმედაშვილის მეთაურიაბით და სვიმონიძის რეჟისორობით! სირცხვილია, ბატონებო! სირცხვილი!

სუფლიორი კოლა.

*** სიტყვა, თქმული გორის ციხის განახლებაზე. ყოველი კეთილი, ღვთისა და კაცთა სასიამოვნო საქმე, ქრისტიანენო, რომელიც კი იწყება და სრულდება ყოვლად მოწყალე ღვთის ლოცვა-ვედრებით, უთუოდ მისწვდება თა[..]ს მიზანს—დანიშნულებას, თუ [..]გი—წინააღმდეგია ღვთისა და მოყ[..]ასისა, მას არა აქვს საფუძველი, [..]მაოა. ამას დაამტკიცებს თვით საღმრთო წერილი: „უკეთუ უფალმა არ აღაშენა სახლი ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნი". უფლისა მიერ შენდება და გვირგვინდება ეს ფრიად კეთილი საქმე, როდესაც უფლისა და მოყვასთა სიყვარულით გამსჭვალული კაცი თავეთი სიშვიდით სითავმდაბლით, ერთად მოძმეებით, განურჩევლად წოდებისა, დიდისა და პატარისა, მამაშვილურის რჩევით შეუდგებიან ხოლმე საქმეს. ვისში მოიპოვება ეს დიდად მნიშვნელოვანი და მაცხოვრის სასურველი მოქმედება: „გიყვარდეთ ერთ[..]ითი, გაიკითხეთ ობოლი და ქვ[..] [..]იქონიეთ ერთურთ შორის [..] და რაოდენ დიდ იყო, [..]მდაბლე თავი შენი". [..] სწავლებულის სათ[..] [..]ბიან მათს ბრწყ[..] [..]იოანნე გვის ძე [..]აისმა თუ არა ხმა [..]ანვალოი[..] თ. იოარის განხორციელებაში მოყვანისა. გვახსოვს, რასაკვირველია, რომ მათის ბრწყინვალების განკარგულებით ვიხადეთ პარაკლისი ახლად საქმისა შედგომისათვის 26 ოქტომბერს, წარსულს 1898 წ., რომლის პარაკლისზედაც ვერ დაესწრნენ მათი ბრწყინვალება, ავადმყოფობისა გამო. როგორც უკვე ვხედავთ, აწ სანატრელს დროში იმყოფება და უკეთესი მოელის, ამ ძველს ნაშთს, დაძაბუნებულს, მრავალი ჭირის და ლხინის გამომვლელს და მასთან ერთად გარშემო შეფარებულთ მცხოვრებთ და საერთოდ მთელს ქალაქს. ეს ძვირფასი თავ-შესაფარი, ჩვენ წინაპართა მამათა და ძმათა მტრის მახვილისაგან და სისხლთა ღვრის დამცველი ციხე, ვიდრე შეგვიფარებდა თავის კალთის ქვეშ უკეთილ მსახურესი და უთვითმპყრობელესი დიდი ხელმწიფე სრულიად რუსეთისა, მოელოდა დღე-დღეზე დაქცევას, განადგურებას, აღგვას პირისაგან ქვეყანისა; შეწუხებულის სახით გაიყურებოდა იგი მშველელისაკენ და აი, ღვთის განგებით მოეშველა მას ხელი კეთილი და შემბრალე კაცისა, რომელმაც დააყენა იგი ფეხზე და შთაუდგა სული. რომელს ჩვენგანს არ ახსოვს, რომ ალაგ-ალაგს სცვივოდა ქვა-კლდე ზო[..] სიმაღლიდგან და სცემდა [..] ზარს მის გარშემო შეხი[..] მეზობელთ. განადგურდებო[..] ეს ციხე და ქ. გორსაც დაეკარგებოდა ყოველივე მნიშვნელობა, ყოველივე ლაზათი. ახლა კი ამ მხრით უზრუნველნი შეიქმნებიან, როგორც თვით ციხე, ეგრეთვე ყოველნი, მასთან სიყრმით შეკავშირებულ-შედუღებულნი მცხოვრებნი, რომელთაც სურდათ ხოლმე სულგულით ამ ციხის დათვალიერება და ვერ ძალ-ედვათ, ვერ შეეძლოთ ქვეითი-ფეხით ამოსვლა, ახლა თამამად შეუძლიანთ დაკმაყოფილება თავიანთი სურვილისა, ეტლის ამოსვლითაც კი.. მოსეირნენი დღემდის გარშემო და შიგნით ციხისა სალს, პიტალო კლდეებზე, ხრიოკს ადგილებზე, იხილავენ დღეის შემდეგ ხეებით და მწვანით შემოსილს სურათს. ამოსულთ ამა ციხეში და მწყურვალეთ, ვერ შეეძლოთ მოეკლად წყურვილი წყლისა, თუ არ ჩაბრუნებულიყვნენ ისევე ქალაქში და ეხლა, აქვე ჰპოვებენ საშუალებას. მრავალჯერ ამოსულან აქ ცნობის მოყვარეობით გატაცებულნი ხალხნი, გაუხედ-გამოუხედნიათ ამ სიმაღლიდგან გარშემო აღტეხილს სოფლების, მთიბის და მდინარეე[..] [..]ს, დამტკბარან [..] ყურად[..] [..]რებისთვის და გული სიბრალულით აღვსებიათ, რომ ოდესმე გაჰქრება ეს ჩვენი წინაპართა ნაშრომი ნაშთიო იმათ, რომელნიც ამოვიდოდნენ და ინახულებდნენ აქ ობლად დატოვებულს ეკლესიას, შეურაცხ-ყოფილს და უპატიოთ შენახულს, მრავალჯერ ასტკივნიათ გული და უთქვამთ: „რავდენი მსხვერპლი შეწირულა ამ ტაძარში, რავდენი ვულ-მხურვალე ლოცვა აღვლენილა ამ სამლოცველოში და განა ეს დღე, დაქცევისა მოელოდაო?" მაგრამ აი სწორეთ ამ მირონ ცხებულმა თამარმა და მასში მყოფმა მადლმა ღვთისამ შეიბრალა იგი, დაუდგა დრო აყვავებისა, ისევე თვალის ახილვისა და არა დახუჭვისა, საუკუნოდ მიძინებისა. ვინ იყო მიზეზი ამ ფრიად ღვთიურ სასიამოვნო საქმისა? რასაკვირველია, როგორც უკვე მოეხსენება აქ დამსწრე პატივ-ცემულს საზოგადოებას,—ბრწყინვალე თ. იოანნე გივის ძე ამილახვარი, რომელიც თავ-გამოდებით იბრძვის და არ ზოგავს მისთვის თავის ძალ-ღონეს, მის სისრულეში მოყვანისათვის. თანა-გრძნობით ექცევიან ეგრეთვე თვით ქალაქის მცხოვრებელნი ამ ფრიად სასიამოვნო სასიხარულო საქმეს, რომელთაც ხალისით და ალერსიანათ მოჰკი[..]ეს ხელი ამ წმინდა სა[..] [..]ასეც უნდა მოქცეულიყვნენ, იმისთვის, რომ გაუმჯობესდება რა მათი ქალაქი ყოველის მხრით, ეგრეთვე წინ წაიწევს მათი ცხოვრებაც ბევრს ჩვენგანს უკვირს, ვანცვიფრებაში მოდის მას შემდეგ, როდესაც უთქვამს: „ვის აქვს ეხლა ისეთი შეძლება და წელი, რომ ეგ ციხე გააცოცხლოსო?" მაგრამ ახლა ხომ ვხედავთ ძმანო, რომ ცოცხლდება კი არა, პირველს არსებაშიც არ ყოფილა ამ განცხრომით. რა არ შეუძლიან და რა არ შეიქმნება საერთო ძმურის და ქვეყნის ძალით?! „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო" (ნათქვამია ძველთაგან). რა გვმართებს ახლა ჩვენ. როგორც აქ დამსწრე პატივ-ცემულს საზოგადოებას, ეგრეთვე ამ ქალაქის მცხოვრებთ და საზოგადოდ მრთელს საქართველოს შვილთ? რით გარდუხადოთ ამ აღუნუსხველს მოწყალეებას, მტვირთველს ამავე სამაგალითო საქმისას თავ. ი. გ. ამილახვარს? ვგონებ, ვერა ღონისძიებით და თავ-გამოდებით ვერ შევძლებთ მათს მადლობას, თუ არა ისევე აღმოდუღვილის შემუსვრილის სულგულის ვედრებით წინაშე მოწყალისა მღვთისა, რომ მათ იცოცხლონ მრავალს უმრავლეს, დაუღევნელის საუკუნოებით, რათა იყვნენ [..]რომ მოწყალენი და ხელის ამპყრობელნი თავეთ მოძმე-მოყვასთა, ყოვლად და ყოველსა შინა.

*** სამკითხველოს დაკეტვა. ჩვენ გვწერენ ღ. ზუგდიდიდან შემდეგს: „ზუგდიდის წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაიხურა ამ დროებით, რადგანაც თანამგრძნობელნი არა ყავდა და მკითხველებიც არავინ დადიოდნენ, ამისათვის გთხოვთ გაზეთის გზავნა შესწყვიტოთ ამდენი ხნის თანაგრძნობის გაწევისათვის ჩემის მხრით ულრმეს მადლობას გწირავთ".

დავშთები თქვენა პატივისმცემელი ზუგდიდის მესტამბე ტრიფონ ბ. თოხაძე.

ვბეჭდავთ რა ამ სამწუხარო ამბავს, თან არ შეგვიძლიან ჩვენი გაოცება არ გამოვსთქვათ, ჩვენი გაკვირვება ზუგდიდის ინტელიგენციის წინ დაუხედაობაზე.

*** **სვანეთი** აქაურა აგა და კარგი. ვერავითარს ნუგეშს ვერ გვაძლევს სვანებს წლევანდელი მოსავალი. საქართველოს ყველა კუთხეებიდგან ისმის მოუსავლობის შესახებ. არც სვანეთი დარჩა უიმისოთ. ჩვენში, როდესაც წვიმები იყო საჭირო, დაგვიდგა გვალვა, ნამუშავარს გაზრდა-შევსება არ დააცალა და უდროოდ დაამწიფა-გაახმო. პირველად რომ შე[..] [..] მისი მწვანე ველი სიცოცხლით სავსე იყო და იმედს იძლეოდა. მაგრამ დაიცხუნა თუ არა მზემ, უცბად ფერი იცვალა და არა სანატრელი დაღი მიიღო. ამან თქვენი ჭირი წაიღოს, მოსავლის მოწევა რომ გვინდოდა, დაიწყო ხშირი წვიმები და უიმისოდაც წამხდარი ნამუშავარი დააფინა და დაალბო. წელს რომ მოსავალმა შესამჩნევად იკლო, შემდეგიდგანა სჩანს: შარშან რომ ერთი მარხილი პური, ან ქერი ორ კვიდოლა *) სარწყავია, უდრის $2^1/_2$ ხორბალს იძლეოდა, წელს ოთხი მარხილი ვერ იძლევა ამდენს. შარშან მოსავალს, სხვა წლებთან შედარებით, აქებდნენ, მაგრამ, არ მოგეცეთ ჭირი, მაინც ვერ გაიტანა ხალხის უმეტესობამ თავი წლის ბოლომდე (მეორე მოსავლის მოწევამდე). მაშასადამე. ეჭვს გარეშეა, რომ წლევანდელი მოსავალი არამც თუ წლის დამლევამდე, შუამდეც ვერ ეყოფა ხალხს და სიმშილს ექადის, რომელსაც დროზედ მიშველება ეჭირვება.

ხშირმა წვიმებმა სხვაც ბევრი ზარალი მოგვიტანა. გზები და ხიდები სულ მთლად წაილეკა და ზედ მეტი მუშაობა შესძინა ხალხს უფრო დაზიანდა ს. კალას დ[..] იფარს შუა გზები. ს. იფარშ ადიდებულმა ინგურმა შემდეგ[..] ზარალი მოახდინა: ხიდები წა[..]

ლო, აზნაურიშვილის სახლს საძირკველი გამოუთხარა, დაანგრია, რაც რამ შიგ ნივთეულობა ეწყო ქვეშ მოუტანია, მილეწ-მოლეწა და გააპარტახა. კოშკს, რომელიც სახლს იფარავდა, ქვა-ბოძი გამოუთხარა და ისეც დანგრევას ლამობს, ზარალი 1200 მანეთამდეა. ამასაც არ დასჯერდა შეუწყნარებელი მდინარე, ახლო-მახლო მდებარე ყანები, სათიბები და წისქვილები წალეკა და გაანადგურა. ზარალი ზოგს 200 მანეთამდეა, ზოგს 300, ზოგს მეტი.

აქ მიუხედავათ არა სასურველის გარემოებასა, ერთი რამა მგვრის სიცილს... მოგეხსენებათ, ცრუმორწმუნოება ჩვენში, ნამეტნავად სვანეთში, ძლიერ არის გავრცელებული და რა უნდა მოხდეს იმისთანა, რომ მას ზედ ცრუმორწმუნოების დაღი არ მოხვდეს.. ამ ავდრიანობისა და მისი ცუდი შედეგების შესახებ სვანები აი რას ამბობენ: „ჩვენს ძველებს ვალად ჰქონდა დადგენილი ყოველ წლივ ეძლიათ წყლისათვის ერთგვარი ბეგარა; ეს ბეგარა ჩვენ მოვსპეთ და ამიტომაც არის, რომ ბევრი უბედურება დაგვატყდა თავზედ... „ღერბეთ, წომა აწსერი“!.. (ღმერთო, ნუ გაგვწირავ). ეს ბეგარა აი რაში მდგომარეობს; მიდიოდნენ სოფლის უფროსი კაცები წყლის პირად და შეჰთიცავდნენ: წყალო, შენ გამარჯვებული და ჩვენ დამარცხებული, შენ გამარჯვებული და ჩვენ დამარცხებული!.. შეჰფიცავდნენ ამ გვარად იმ იმედით, რომ წყალი ჩვენს თავმდაბლობას მიიღებს მხედველობაში და არავითარს ზარალს არ მოგვცემსო... ზემორე ნათქვამთან დართული ეს ამბავი გულში სიბრალულისა და შეცოდების ძარღვებს მიხსნის, მეორე წამში-კი უნებლიეთ მეცინება...

ჩვენშია ამ ჟამად კომისია, შემდგარი თ. თენგიზ დადეშქელიანის შვილებისადმი ს. ბეჩოს ადგილების ჩასაბარებლად. საქმე იმაშია, რომ ს. ბეჩო, რომელიც აქამდისინ თ. ოთარის შვილებისა და სხვა დადეშქელიანების ხელში იყო, დღეს უმაღლესი განკარგულებით გადადის თ. თენგიზ დადეშქელიანის შვილებზედ. რასაკვირველია, ეს საქმე არ არის უბრალო საქმე და ამიტომაც ვშიშობთ, რომ, ვაი თუ, თავადთა ორ ბანაკს შორის ასტყდეს არა სასურველი მოძრაობა... ვშიშობ აგრეთვე, რომ, ვაი თუ, თ. დადეშქელიანებსა და ს. ლატალის მკვიდრთა შორის ამტყდარმა დავამ ფართო ხასიათი მიიღოს და საქმე გამწვავდეს, თუ-კი დროზედ არ ეშველა საქმეს და მშვიდობიანობა არ ჩამოვარდა, რომლის წინააღმდეგნი, ვგონებ, არ უნდა იყვნენ თ. დადეშქელიანნი. საქმე იმაშია, რომ თ. დადეშქელიანები ედავებიან ს. ლატალის მკვიდრთ ადგილებს, ხოლო ეს უკანასკნელნი იცავენ თავიანთ უფლებებს და ამ გვარად საქმე საშიშ წერტილს უახლოვდება...

ჩვენში კენჭის ყრა ჯარის კაცების გამოსაწვევად დაიწყო ჩვეულებრივ 16-ს აგვისტოდგან. ს. ბეჩოში ოთხი-ხუთი წლის წინათ სვანეთიდგან გაჰყავდათ მხოლოდ 7—8 კაცი, შარშან გაიყვანეს 20, წელს-კი 31 კაცი, საზოგადოდ სვანს შვილის ჯარში გაშვება ძლიერ ეძნელება. მიზეზი ბევრია, სხვათა შორის პირველად ისა, რომ სვანს სამშობლო ძლიერ უყვარს და მისი მოშორება ეძნელება; მეორე ისა, რომ ბევრ ჯარის კაცთაგანს სიკვდილმა მოუღო ბოლო დ უკან აღარ დაბრუნებულა. *) მესამე ისა, სვანს მისი შვილი ჯარში სამსახურის დროს უჯდება წელიწადში არ ნაკლებ 50—70 მანეთისა ოთხი წლის განმავლობაში-კი 200—280 მან. (ამ ფულებს უგზავნის სვანი თავისს შვილს ტანისამოსისა და სხვა სახარჯავ ფულებად) ეს მიზეზები-კი საკმარისია, რომ სხვანმა ჯარში გაწვევის საქმეს ეჭვის თვალით უცქიროს და თავი უბედურად ჩასთვალოს...

ივანე მარვ—ნი.

**** ახალ-სენაკი.** შემნახველ-გამსესხებელი ბანკის გამო. სწორედ მოგახსენოთ, ძალიან აწეწილ-დაწეწილია ახალ-სენაკის შემნახველ-გამსესხებელი ბანკის „საგმირო საქმენი“ არა გვგონია, რომ ქუთაისის ბანკში ასე იყოს დომხალივით არეულ-დარეული საქმე, როგორც ამ სენაკის ბანკში. თითქმის ამ მოკლე დროში, რამდენიმე კრებები იყო ზედი-ზედ და ვერ იქმნა და ვერა, საქმეს მაინც ხეირიანი და სასიკეთო წინმსვლელობა არ მიეცა. საქმე ის არის, ვისაც კარგი „ოეჩების“ გამოთქმა შეუძლიან საქმეც იქითკენ მიდის. ხოლო ვინც „რეჩებს“ და რუსულ სიტყვა-პასუხს მოკლებულია, იგი დამარცხებულ დაძმარებული გამოდის ამ კრებიდან. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბანკის წევრნი ორი კაცის მეტი (ესენიც არ ესწრებიან კრებას) ყველანი ქართველები არიან, უმრავლესობა კი მოკლებულია რუსულ სიტყვა-პასუხებს და ურიგო არ იქნებოდა, რომ თუ სულ არა, დედა აზრს მაინც გასაგებ სიტყვით აუხსნიდნენ. ამიტომაც არის, რომ ზოგიერთებს თითქმის კრების გათავების შემდეგ გაუგია ის, რაშიაც იყო საქმე...

ამ სექტემბრის 26 კიდევ დანიშნულია კრება შესახებ ორის საქმის მწარმოებლის ასარჩევად, ღმერთმან ქმნას, რომ ეხლა მაინც აირჩიონ ისეთი კეთილი პირი, რომელსაც შეეძლოს რიგიანად გაძღოლა ამ საქმისა. ჩვენ აქ არ შევეხებით ზოგიერთ ბანკის საქმეს, მაგრამ ვიტყვით, მხოლოდ იმას თუ სად სჯობია იყოს „კასა“. კარგი იქმნება, როგორც უწინ ისე ეხლაც „კასა“ ხაზინაში იქმნეს გადატანილი, რადგანაც ეს ადგილი ძალიან საიმედოა, ვიდრე სხვაგან. კიდევ და კიდევ ვიტყვით, რომ ხაზინა კარგი ადგილია ბანკის მოსათავსებლად და არც ერთმა წევრმა არ უნდა ამაზედ უარი განაცხადოს, როგორც წინა კრებაზედ საიმედო ადგილად ხაზინა იქმნა აღიარებული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ კრებაზედ ყოველივე საჭირო საქმე ამ ბანკისა, რიგიანად იქმნება ცნობილი...

უცნობ-ნაცნობი

---

## სამეურნეო ცნობა

### მ[illegible]დე დარიგება ვაზის მოშენებაზე და ღვინის დაყენებაზე.

შემდეგი *)

| ასვედრა ყურძნის წვენს დაუმატეთ | | ვედრა წყალი | |
|---|---|---|---|
| | 7% | 6% | 5% |
| 7,1% „ „ | 1,40 | 18,33 | 42,0 |
| 7,1% „ „ | 0,03 | 16,66 | 40,0 |
| 6,9% „ „ | | 15,00 | 38,0 |
| 6,8% „ „ | | 13,33 | 36,0 |
| 6,7% „ „ | | 11,66 | 34,0 |
| 6,6% „ „ | | 10,00 | 32,0 |
| 6,5% „ „ | | 8,33 | 30,0 |

პიტიოტიზაციის წესით ღვინის დაყენება. სიტყვა პიტიოტიზაცია წარმოდგება სიტყვიდამ პიტიოტი, პიტიოტი იყო ბურგუნიაში გამოჩენილი ღვინის მკეთებელი, რომელმაც პირველად 1854 წელს სცადა გამოჩენილ ღვინის მკეთებლის მაკერას გამოგონილი წესი. გამოცდის შემდეგ ამ წესს უწოდეს სახელად პიტიოტიზაცია. რადგანაც ხშირად გვესმის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ყურძნის მოუსვლელობაზე, ამისათვის მე საჭიროთ ვჰნახე, გავაცნო ჩვენს მემამულენი პიტიოტისებურად ღვინის მომზადება. აი რაში მდგომარეობს ეს წესი. თეთრი ყურძენი დაწურეთ გეჯაში ან საწნახელში, შემდეგ გაქაჯეთ საქაჯავში, გამოწურული ტკბილი არწყეთ, ნაქაჯი ჰაჰა ჩაყარეთ ქვევრში, ან ჩანში, ზემოდამ [illegible] იმდენი ცივი წყალი, რამდენიც იყო არწყული ტკბილი; მაგალითად თუ ტკბილი იყო ათი ან ოცი ჩაფი, ან კოკა, მაშინ გაქაჯულ ჰაჰაზე უნდა დაასხათ ამდენივე ჩაფი ანუ კოკა წყალი. ამ წყალ-ჰაჰას მიუმატეთ იმდენი შაქარი, რამდენსაც მოითხოვს. თუ რომ ბ. ბაბოს მაჰრის საზომით ტკბილი აჩვენებდა ოც გრადუს შაქარს, მაშინ ჰაჰაზე დასხმულ წყალსაც მიუმატეთ იმდენი შაქარი, რომ სიტკბომ აიწიოს 20 გრადუსამდის ტკბილის მალე და ჩქარა დასადუღებლად ცივი წყლის მაგიერ ჰაჰაზე ასხმენ 18—20% R. ცხელ წყალს. როცა ტკბილი კარგად დადუღდება, ე. ი. 24 საათს შემდეგ გადაიღეთ სხვა სუფთა გარეცხილ ქვევრებში და იმავე ჰაჰაზე ხელმეორეთ დაასხით იმდენი წყალი, რამდენიც მიიღეთ შაქარ-ნარევი ტკბილი და ამ წყალსაც მიუმატეთ იმდენი შაქარი, რამდენ გრადუსსაც საზომი აჩვენებდა პირველად მიღებულ პატიოტში. ამისთანა გამოცდას იმეორებენ სამ-ოთხჯერ; მაგრამ ორის მეტათ არ უნდა გაიმეოროთ, რადგანაც მესამეზე მეოთხეზე ვერ გამოდის რიგიანი ღვინო ეს წესი იყო თეთრი ღვინოების მომზადებაზე.

ეხლა ვიტყვი ორიოდე სიტყვას წითელ ღვინოების მომზადებაზე. წითელ ღვინოსაც ამზადებენ იმავე წესით, როგორც თეთრ ღვინოს, ოღონდ წითელი ყურძნის ტკბილი დაწურვის შემდეგ თავის ჰაჰიანათ ჩაასხით ქვევრში ან ჩანში, შემდეგ თითო ათ ვედრა ტკბილზედ დაასხით ერთი ბოთლიდან ბოთლნახევრამდის მაგარი 90% სპირტი. ამ გვარათ ტკბილი რჩება ჰაჰაზე დღე და ღამე. როცა ტკბილს მიეცემა წითელი მუქი ფერი, მაშინ ტკბილი გადაიღეთ სხვა წმინდა ჰურჭელში და იმავე ჰაჰაზე ხელმეორეთ დაასხით ცივი წყალი, მიუმატეთ შაქარი იმ ზომით, როგორც მქონდა ნათქვამი ზემოთ, მერე მიუმატეთ ბოთლნახევარიდან 3 ბოთლამდის ისევ 90% მაგარი სპირტი, ამ გვარათ ტკბილი უნდა დარჩეს ჰაჰაზე ორი დღე და ღამეც, რაც ტკბილი მორჩება დუღილს, მაშინ გადაიღეთ სხვა სუფთა მომზადებულ ჰურჭელში, შემდეგ [illegible]ონა ცდა იიმეორეთ სამ-ოთხ[illegible] [illegible]მეთა მქონდა [illegible]

*) როგორც რაჭაში «კოდი».

**) სვანი თავის ქვეყანაში დაუმარხაობას დიდ უბედურებად სთვლის და ძვირად თუ დატოვებას მიცვალებულის ძვლებს სხვა ქვეყანაში.

*) იხ «ცნობ. ფურც.» № 9[illegible]

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**პარიზი.** „Matin“-ი იუწყება, რომ გალიფე სულაც არა ჰფიქრობს დაუბრუნოს გენერლებს ბუადერფს და ნეგრიეს წინანდელი თანამდებობანი.

**პარიზი.** რუსეთის რწმუნებული ნარიშკინი და გენერალ-ადიუტანტი ფრიდერიქსი დაესწრნენ დღეს მთავარ შტაბის უფროსის გენერალის ბროს დასაფლავებას.

**ვენა.** როგორც „Neue Freie Presse“ იუწყება, ბოლგარიის მთავარს ფერდინანდს ებოძა ორდენი წმ. სტეფანისა.

**პეტერბურგი.** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის $5\%$ გირავნობის ფურცლებში გამყიდველნი იძლევიან 99 მან., იმავე ბანკის $4\frac{1}{2}\%$—95 მ.; ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის $6\%$—100 მან.; იმავე ბანკის $5\%$—100 მან. გაიყიდა.

**პარიზი.** სამედიატორო სასამართლო, რომელსაც მინდობილი აქვს ინგლის-ვენეცუელას საქმის გადაწყვეტა, მუშაობას ამთავრებს. დღეს მედიატორენი განაჩენს დაადგენენ.

**პარიზი.** ბერანჟემ გარდასცა ბრალდებულთა ვექილებს გამოძიების საბუთის ქაღალდები, რომელიც ოთხ ნაწილად განიყოფება: პირველი ნაწილი შეეხება დერულედს, პატრიოტთა ლიგას და ნაციონალისტებს, მეორე—როიალისტებს, მესამე—ანტისემიტებს და მეოთხე—სხვაგან მყოფთ. ჰფიქრობენ, ჩვენების ჩამორთმევა მაზათ დაიწყებათ.

**კარაკასი.** ბოროტ განმზრახველთ გარეშე საქმეთა სამინისტროს აფეთქება სცადეს.

**ბუდაპეშტი.** ათასმა სოციალ-დემოკრატმა გუშინ, საღამოს, კრება მოახდინეს საყოველთაო კენჭის ყრის შესახებ მოსალაპარაკებლად. როცა ხალხმა საშიში სახე მიიღო, პოლიცია ჩაერია და შეიპყრო ასამდე კაცი.

**ვენა.** ბოლგარიის მთავარი საღამოს ვარნაში გაემგზავრა.


## ექიმი

ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და [illegible] 7—

[illegible] ...ани



იყიდება „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში იაფ-ფასიანი სახალხო გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე | 2 | „ |
| ალექსანდრე ყაზბეგი[?] | 2 | „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე | 2 | „ |
| პატარა ბიბლიოთეკა | 2 | „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ოცი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ („ცნობის ფურცლის“ რედაქციას. 30—30)



გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

## „ბერანჟე“

ქართულად

გ. გვაზავას თარგმანი.

**ფასი 40 კაპ.**

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, $20\%$ დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი ეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—10)



# СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ

общедоступный еженедѣльный журналъ

**Въ годъ 52 №№ журнала и 12 книжекъ библіотеки «СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ».**

**Подписная цѣна:** съ пересылкой и доставкой: въ годъ 5 руб., на ½ года 3 руб., За границу 8 р.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА:**

съ 1-го Августа по 1-е Января 1900 года со всѣми приложеніями—2 руб. съ пересылкой.

За всякую перемѣну адреса—50 к., можно марками.

За объявленія: за строку петита въ одинъ столбецъ по 30 коп. (три столбца на страницѣ).

**ЦѢНА ОТДѢЛЬНАГО НОВЕРА 15 КОП.**

Подписка принимается въ конторѣ журнала, С.-Петербургъ, Невскій. 148.

**Въ жлрналѣ принимаютъ участіе:** В. А. Анзиміровъ.—И. А. Баженовъ.—Проф. Н. И. Быстровъ.—Д-ръ В. М. Бурлаковъ.—Проф. А. Я. Данилевскій.—Проф. В. П. Доброклонскій.—Проф. Г. А. Донбергъ.—Д-ръ А. О. Дукатъ.—Пр. доц. В. П. Жуковскій.—Проф. С. І. Залесскій,—Д-ръ М. Д. Ильинъ.—Д-рь В. ф. Краевскій.—Проф. П. ф. Лесгафтъ.—Проф. Е. В Павловъ.—Проф. В. В. Подвысоцкій (Кіевъ).—Проф. А. В. Пель.—Д-ръ В. И. Раммъ.—Проф. И. А. Сикорскій (Кіевъ).—Проф. И. Ц. Скворцовъ (Харьковъ).—Академикъ Князь И. Р. Тархановъ.—Д-ръ А. Н. Шабанова.—Д-ръ Б. Е. Шэхтеръ и др.

**Подписка на 1899 годъ продолжается.**

Всѣ вновь подписавшіеся на 1899 годъ получатъ журналъ со всѣми безплатными приложеніяеми съ 1-го Ноября 1898 года по 1-е Января 1900 года, т. е. 60 нумеровъ журналл и 16 ежемѣсячныхъ безплатныхъ книжекъ.



მიაქციეთ ყურადღება ამ მართლაც და საყურადღებო განცხადებას!

ყველასათვის საინტერესოა, ხოლო განსაკუთრებით

**პროვინციელ ქალებისა და ვაჟებისათვის**

**100** სადარბაზო ბარათი (Визитныя карточки)

**100** ფოსტის ქაღალდი (Почтовыя бумаги)

**100** მაოვე კონვერტი (Почтов. конверты)

სახელის და გვარის დაბეჭდვით

[illegible]

[illegible] გაეგზავნება იმას

ვინც გამოგზავნის მხოლოდ

სამი მან.

ვინც მოისურვებს, რომ ფოსტის ქაღალდზე ან სადარბაზო ბარათზე მათი სურათიც იყოს აღბეჭდილი, იგი ზემოხსენებული 3 მან. გარდა, კიდევ 3 მან. უმატებს.




მსურველნი მიმართავენ: ტფილისში ვ. გუნიას სტამბას.

Тифлисъ, Дворцовая ул. Типографія В. Гуніа.